



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
13 მარტი, 2017


ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2016 წელს 5.2%-ით გაიზარდა და 1,645.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (645.0 მლნ აშშ დოლარი, +10.3% წ/წ), ენერგეტიკის სექტორი (202.8 მლნ აშშ დოლარი, +63.9% წ/წ), მშენებლობა (163.5 მლნ აშშ დოლარი, +47.7% წ/წ) და საფინანსო სექტორი (135.8 მლნ აშშ დოლარი, -23.9% წ/წ). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: აზერბაიჯანი (578.4 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (272.3 მლნ აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო (120.8 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (95.4 მლნ აშშ დოლარი).

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 7 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ, რაც 6.75%-ს შეადგენს. ამასთან, ეროვნული ბანკი კვლავ მიზანშეწონილად მიიჩნევს წლის პირველ ნახევარში პოლიტიკის განაკვეთის 7%-მდე ზრდას, თუმცა ფასებზე მოქმედი ტენდენციების უკეთ გამოკვეთამდე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ამ ეტაპზე თავი შეიკავა პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებისგან. არსებული პროგნოზის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ 2017 წლის განმავლობაში ერთჯერადი ფაქტორების ზეგავლენით ინფლაცია დროებით გაიზარდება და 4%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ინფლაციის მაჩვენებელი მასზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვის შედეგად შემცირდება და მოსალოდნელია 2018 წელს იგი მიზნობრივ დონეს ჩამოსცდეს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდგომი სხდომა 2017 წლის 2 მაისს გაიმართება.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2017 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა წლის თებერვალთან შედარებით 355.3 მლნ აშშ დოლარით (+14.6%) გაიზარდა და 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

საერთაშორისო რეზერვები



წყარო: სტბ

ეკონომიკური ინდიკატორები


	2M17	2016	2015
მშპ (%-ლი ცვლილება)	5.2% ⁽²⁾	2.2%	2.9%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	...	9,630
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	...	3,767
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	5.5%	1.8%	4.9%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	2.8	2.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	8.4% ⁽¹⁾	11.9%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	4.0%	3.7%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	...	41.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) 2016 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით

(2) 2017 წლის პირველი თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: სტატსტი

შენიშვნა: წინასწარი მონაცემები 4Q16-სთვის

საერთაშორისო რეიტინგები, 2016-17

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №16 (საუკეთესო 20-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №13 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №59 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB- სტაბილური დადასტურებული ნოემბერი-2016	 Ba3 სტაბილური დადასტურებული მარტი-2016	 BB- სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2016
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1,240 მლნ ლარის (504.1 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 7 მარტს 182-დღიანი 20 მლნ ლარის (8.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.128% შეადგინა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 7 მარტს 2-წლიანი 30 მლნ ლარის (12.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.253% შეადგინა.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ
შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2017 წლის 2 მაისს გაიმართება

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ევროობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.7%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 101.5 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციები - GEOROG 05/17-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით - 100.7 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით) და 2.8%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 105.3 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 5.3%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 110.1 ფასად (-0.3% წინა კვირასთან შედარებით), 5.5%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 110.6 (-0.5% წინა კვირასთან შედარებით), 4.0%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა %)




	ადგილობრივი ობლიგაციები					ევროობლიგაციები				
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 03/18	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	15.0	5.0	15.0	10.0	250	53.5	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	05/15	03/16	05/15	09/14	04/16	05/12	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	05/17	03/18	05/17	09/17	04/21	05/17	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	3.50**	9.5	11.0	9.5	8.8	6.750	6.875	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/ Moody's	BB-/B+	-/-	-/-	-/-	-/-	BB-/B+	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB-/Ba3	B+/B+
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	101.7	101.9	101.2	100.8	105.3	100.7	101.5	110.6	110.1
საშუალო პროცენტი	n/a	6.75%	9.00%	2.75%	7.25%	5.3	2.8	5.7	4.0	5.5
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	307.6	-53.8	329.1	183.2	318.1

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 3.5%)

საქართველოს ევროობლიგაციების ბაზარი



აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	110.6	4.0	183.2
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/BB+/Ba1	99.7	4.8	236.5
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/BB+/Baa2	119.9	0.4	-230.2
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	108.9	2.1	179.9
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	111.5	3.3	121.2
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	114.6	3.5	127.3
როსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	106.5	2.8	75.2
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/BB/Ba1	103.6	4.6	247.0

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 29.87 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.95% წინა კვირასთან შედარებით და -3.33% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 439 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 28.35 – 30.03 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 113 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.42%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 1.31%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.11% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 14.08 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-0.49% წინა კვირასთან შედარებით და -2.56% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 89 ათასს გადააჭარბა, GBP 13.76 – 14.28 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 50 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.59 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-1.17% წინა კვირასთან შედარებით და +4.81% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 51 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.43 – 3.70 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 32 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.04% შეადგინა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას- დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
BGEO*	BGEO	36.30	1,434	-6.0%	-14.6%	-10.1%	29.4%	32.1%
TBC*	TBC	17.11	893	-5.2%	49.4%	42.6%	69.4%	71.1%
Halyk Bank	HSBK	6.81	1,872	18.8%	14.6%	7.4%	37.6%	51.3%
KKB	KKB	1.40	558	-5.7%	2.2%	-11.9%	14.3%	40.0%
VTB Bank	VTBR	2.17	14,036	-6.4%	-8.0%	-6.0%	2.7%	4.5%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	12.59	299	-4.1%	11.5%	18.3%	52.6%	72.3%
Sberbank	SBER	11.00	59,337	-4.4%	-1.8%	13.3%	87.0%	66.6%

წყარო: ბლუმბერგი

*BGEO და TBC ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში შენიშვნა: TBC-ის აქციის ფასის 6-თვიანი, წლის დასაწყისიდან და 1-წლიანი ცვლილება დაანგარიშებულია მოცემულ თარიღებში GDR-ების ფასებთან მიმართებაში


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი		აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
GHG*	GHG	4.37	576	1.9%	-7.3%	12.8%	91.4%	91.3%
Mouwasat	MOUWASAT	39.43	1,972	6.4%	-0.2%	17.1%	21.5%	23.3%
Fortis	FORH	2.67	1,384	-8.1%	4.6%	-0.2%	-1.6%	6.1%
Raffles	RFMD	0.99	1,738	-2.0%	-2.2%	-11.8%	1.5%	-6.4%
IHH	IHH	1.32	10,901	-6.1%	-8.6%	-18.1%	-13.4%	-15.3%
Bangkok Chain	BCH	0.36	888	-10.1%	-12.3%	11.8%	42.0%	25.5%
Netcare	NTC	2.33	3,413	-2.7%	2.6%	0.6%	6.6%	8.2%


წყარო: ბლუმბერგი

*GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge